თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #69

ქ. თბილისი 2025 წელი, 9 ოქტომბერი, 15:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ზურაბ აბაშიძე (კომისიის თავმჯდომარის მ/შ), ნიკოლოზ კახეთელიძე, ოთარ გრიგოლია, ლევან არველაძე, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე, საბა ბუაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:

ლილე ლიპარტელიანი, მამუკა გუგეშაშვილი, ნინო წულაძე (03-032528142 – 08/10/2025)

სხდომის თავმჯდომარე:
ზურაბ აბაშიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ვალერი ჭიღლაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს N12-032526873-03-25.09.2025)
2.	მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N 4 (ს/კN01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/კ N01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" (საკრებულოს N 12-032528140-03 - 08.10.2025)
3.	,,მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114) და ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული უძრავი ქონებების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ხელშეკრულების გაფორმებისთვის განსაზღვრული ვადის ცვლილების თაობაზე" (საკრებულოს N12-032528140-03 - 08.10.2025)

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (საკრებულოს N12-032526873-03-25.09.2025)**

კახა აბულაძის კანდიდატურა წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვალერი ჭიღლაძემ.

მისი თქმით და განმარტებით კახა აბულაძე გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციითა და პროფესიონალიზმით, შესაბამისად ის სავსებით შეესაბამება დასაკავებელ თანამდებობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას, ამ კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, აგრეთვე განეკუთვნება - „დადგენილი წესით თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა", ამავე კანონის 76-ე მუხლის, მე-2 პუნქტის შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ მომზადებულია და თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა იმსჯელოს უახლოეს სხდომაზე.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

2. **მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N 4 (ს/კN01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/კ N01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" (საკრებულოს N 12-032528140-03 - 08.10.2025)**

საკითხი წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N 37 (ს/კ N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N 4 (ს/კ N01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N 55 (ს/კ N01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის

და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 ოქტომბრის N 25.1687.1912 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ათორის" და მასთან აფილირებული კომპანიების ფარგლებში, მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ N01.10.14.024.036), მუხაძის ქ. N4 (ს/კ N01.14.11.024.004) და ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ N01.14.11.024.012) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებული პირების მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, შემდეგ ღონისძიებებთან დაკავშირებით:

ა) მიეცეს კომპენსაცია „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. N37 (ს/კ N01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. N4 (ს/კ N01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N55 (ს/კ N01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N641 განკარგულების დანართი N 3-ით გათვალისწინებულ პირს - თამაზ ახვლედიანს (პ/ნ 01024064379) 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით.

ბ) პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

3. „მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114) და ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) არსებული უძრავი ქონებების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ხელშეკრულების გაფორმებისთვის განსაზღვრული ვადის ცვლილების თაობაზე" (საკრებულოს N12-032528140-03 - 08.10.2025)

საკითხი წარმოადგინა კომისიის თავმჯდომარემ. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და "მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114) და ქ. თბილისი, შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) უძრავი ქონებების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემის მიზნით სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, ხელშეკრულების გაფორმებისთვის განსაზღვრული ვადის ცვლილების თაობაზე" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 ოქტომბრის N 25.1686.1915 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს: მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. N1 (ს/კ N01.10.13.015.114) და შარტავას ქ. N3 (ს/კ N01.10.13.015.112) ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ 2025 წლის 13 ივნისის N25.990.1105 განკარგულებით დამტკიცებული და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან 2025 წლის 19 ივნისის N240 განკარგულებით შეთანხმებული ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის უძრავი ქონების/ინდივიდუალური ფართების საკუთრებაში გადაცემისთვის განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 19 ივნისის N240 განკარგულების პირველი პუნქტის „ა.გ" და „ბ.ა" ქვეპუნქტებით დადგენილი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით ხელშეკრულების გაფორმების ვადად განისაზღვროს არაუგვიანეს 2026 წლის 7 ოქტომბერი.

საკითხს უარყოფითი შეფასება მისცა კომისიის წევრმა საბა ბუაძემ.

ხმათა უმრავლესობით, ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე